

დანართები

დანართი N1 - განაცხადის ფორმა;

დანართი N2 - წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა;

დანართი N3 - ანაზღაურების ხელშეკრულება;

დანართი N4 - ანაზღაურების პირობები

დანართი N1

განაცხადის ფორმა

1. ინფორმაცია პოტენციური ბენეფიციარი საწარმოს შესახებ:

| | |
|---|--|
| დასახელება | |
| სამართლებრივი ფორმა | |
| პირადი ნომერი / საიდენტიფიკაციო ნომერი | |
| ქალაქი/მუნიციპალიტეტი/რეგიონი | |
| იურიდიული მისამართი | |
| ფაქტობრივი მისამართი | |
| ტელეფონის ნომერი | |
| ელექტრონული ფოსტა | |
| ვებ-გვერდი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) | |

2. საკონტაქტო პირი:

| | |
|-------------------|--|
| სახელი, გვარი | |
| პოზიცია საწარმოში | |
| ტელეფონის ნომერი | |
| ელექტრონული ფოსტა | |

3. ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შესახებ:

| | |
|---|--|
| საწარმოს ოპერირების დაწყების თარიღი | |
| პროდუქციის პოტენციური სარეალიზაციო ბაზარი (დსთ-ს წევრი ქვეყნების გარდა) | |
| კალენდარული წლის განმავლობაში საექსპორტო ღვინის (ლიტრი) სავარაუდო მოცულობა(დსთ-ს წევრი ქვეყნების გარდა) | |
| საანგარიშო პერიოდში განსახორციელებელი მარკეტინგული აქტივობის სავარაუდო ღირებულება (დსთ-ს წევრი ქვეყნების გარდა) | |

4. პროგრამის მიზნობრიობები

გახოვთ, შემოხაზოთ სასურველი მიმართულება/ მიმართულებები:

- ❖ *ქსელური ტიპის საცალო გაყიდვების ობიექტებში შესვლის უზრუნველყოფის მიზნით სხვადასხვა სახის მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელება;*

- ❖ სავაჭრო ქსელებსა და ღვინის სპეციალიზირებულ მაღაზიებში გაყიდვების წახალისების/სტიმულირების მიზნით თაროების ბრენდირება, სავაჭრო ობიექტის კატალოგში განთავსება, დეგუსტაციები;
- ❖ სავაჭრო ობიექტებსა და ღვინის სპეციალიზირებულ მაღაზიებში ღვინის გაყიდვის ეფექტიანობის უზრუნველყოფა - საერთაშორისო კომპანიის დაქირავება პროდუქციის ეფექტურად განლაგების/წარდგენის მიზნით;
- ❖ გაყიდვების ზრდისკენ მიმართული მედიაკამპანია: სხვადასხვა სახის მედიასაშუალებებში ღვინის გაყიდვის ონლაინპლატფორმებსა და სოციალურ ქსელებში პროდუქციის რეკლამირების უზრუნველყოფა;
- ❖ გაყიდვების ზრდის მიზნით გაყიდვების აგენტების მომსახურების შესყიდვა;
- ❖ ახალი პარტნიორის მოძიების მიზნით, სამიზნე ბაზარზე გაყიდვების ზრდისკენ მიმართულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება;

ხელმოწერა -----

თარიღი -----

დანართი N2

წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა

- განაცხადი;
- უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში);
- ცნობა ან/და შედარების აქტი სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან დავალიანების არქონის შესახებ;
- ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან, 2021* კალენდარული წლის განმავლობაში ექსპორტირებული ღვინის (ლიტრი) მოცულობის შესახებ;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის/ორგანიზაციის მიერ მომზადებული საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა, საანგარიშო პერიოდში (01.10.2020-30.09.2021*) გაწეული მარკეტინგული ხარჯების ოდენობის შესახებ;
- საბანკო რეკვიზიტები;
- სხვა დამატებითი დოკუმენტაცია, სააგენტოს მიერ მოთხოვნის შემთხვევაში.

**შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარს წინა კალენდარული წლის და საანგარიშო პერიოდში არ აქვს გაწეული მარკეტინგული ხარჯი ან/და არ განუხორციელებია ღვინის ექსპორტი პროგრამის პირობების შესაბამისად, უნდა წარადგინოს არაუგვიანეს გასული 3 წლის განმავლობაში უკანასკნელად გაწეული მარკეტინგული ხარჯისა და ექსპორტირებული ღვინის მოცულობის შესახებ შესაბამისი დოკუმენტაცია*

დანართი N3

ხელშეკრულება N -----

ანაზღაურების შესახებ

ქ. თბილისი

----- 20-- წ.

ერთის მხრივ, **სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო** (ს/კ 204446965), წარმოდგენილი თავმჯდომარის -----
----- სახით და

მეორეს მხრივ, ----- (ს/კ -----) წარმოდგენილი-----

ვინაიდან სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო ახორციელებს საქართველოს მთავრობის 2021 წლის 7 სექტემბრის N453 დადგენილებით დამტკიცებულ „ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამას“ (შემდგომში „პროგრამა“);

ვინაიდან პროგრამის განმახორციელებელია სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო;

თითოეული წოდებული მხარედ, ხოლო ერთობლივად მხარეები, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

ტერმინთა განმარტება:

სააგენტო

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო (ს/კ 204446965) .

ბენეფიციარი

----- (ს/კ -----)

| | |
|-----------------------------------|---|
| ხელშეკრულების მხარე | ბენეფიციარი ან სააგენტო; |
| ხელშეკრულების მხარეები | ბენეფიციარი და სააგენტო ერთად; |
| ანაზღაურება | პროგრამის ფარგლებში სააგენტოს მიერ პროგრამის ბენეფიციარზე გასაცემი ფულადი სახსრები; |
| პროგრამა | საქართველოს მთავრობის 2021 წლის 7 სექტემბრის N453 დადგენილებით დამტკიცებული „ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა“ |
| კონფიდენციალური ინფორმაცია | ერთ-ერთი მხარის მიერ მეორე მხარის შესახებ მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან/და გაგზავნილი ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია. |

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სააგენტოს მიერ ბენეფიციარისთვის სუბსიდიის სახით მარკეტინგული ხარჯების ანაზღაურება ხელშეკრულებითა და პროგრამით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს (-----) ლარს.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. ბენეფიციარი უფლებამოსილია:

2.1.1 მოითხოვოს ანაზღაურების მიღება პროგრამის პირობების შესაბამისად.

2.2. ბენეფიციარი ვალდებულია:

მოახდინოს მეტი (ლიტრი) ღვინის ექსპორტი მიმდინარე კალენდარულ წელს, ვიდრე ექსპორტირებული აქვს წინა კალენდარულ წელს;

2.2.1 უზრუნველყოს მიმდინარე საანგარიშო პერიოდში მეტი მარკეტინგული ხარჯის გაწევა, ვიდრე წინა საანგარიშო პერიოდში;

2.2.2 2023 წლის 1 მარტამდე წარმოადგინოს:

ცნობა სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან, წინა კალენდარული წლის (2022 წელი) განმავლობაში ექსპორტირებული ღვინის (ლიტრი) მოცულობის შესახებ;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის/ორგანიზაციის მიერ მომზადებული საექსპორტო/აუდიტორული დასკვნა, შესაბამის საანგარიშო პერიოდში(01.10. 2021-30.09.2022) გაწეული მარკეტინგული ხარჯის ოდენობის შესახებ;

- 2.2.3 სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში, წარადგინოს ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, რაც დაკავშირებულია სააგენტოს მიერ მარკეტინგული ხარჯების ანაზღაურებასთან ან/და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან მოთხოვნიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში;
- 2.2.4 დაიცვას ხელშეკრულებითა და პროგრამით გათვალისწინებული პირობები.

2.3. სააგენტო უფლებამოსილია:

- 2.3.1 ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე, განახორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი
- 2.3.2 მოსთხოვოს ბენეფიციარს ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენა, რაც დაკავშირებულია სააგენტოს მიერ ანაზღაურებასთან ან/და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან;
- 2.3.3 ბენეფიციარის მიერ ხელშეკრულების 2.2.1 და 2.2.2 ქვეპუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ბენეფიციარს არ აუნაზღაუროს მარკეტინგული ხარჯები.

2.4. სააგენტო ვალდებულია:

- 2.4.1. გასცეს ანაზღაურება ხელშეკრულებისა და პროგრამის პირობების შესაბამისად.

3. ბენეფიციარის პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების შეწყვეტა

- 3.1 თუ ბენეფიციარი დაარღვევს ხელშეკრულების 2.2 პუნქტის 2.2.1; 2.2.2; ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვალდებულებებს, სააგენტო უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და ბენეფიციარს არ აუნაზღაუროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მარკეტინგული ხარჯი.
- 3.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
 - 3.2.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემთხვევაში;
 - 3.2.2 ვადადღე, ნებისმიერი მიზეზით, მხარეების მიერ შეთანხმების შემთხვევაში;
 - 3.2.3 ბენეფიციარის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში;
 - 3.2.4 კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 3.3 სააგენტოს მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, სააგენტოს არ წარმოეშვება რაიმე ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ.

4. კონფიდენციალური ინფორმაცია

- 4.1 მხარე ვალდებულია, როგორც ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგ, არ გაამჟღავნოს ან/და მესამე პირ(ებ)ს არ გადასცეს კონფიდენციალური ინფორმაცია მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 4.2 კონფიდენციალურ ინფორმაციას არ განეკუთვნება: (ა) სახელმწიფო/საჯარო უწყებებისთვის მიწოდებული ინფორმაცია ან ინფორმაცია რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე არის/გახდება საჯარო; (ბ) ინფორმაცია, რომლის გამჟღავნების თაობაზეც არსებობს კონფიდენციალური ინფორმაციის მესაკუთრე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობა ან/და

მხარეთა ხელშეკრულება; (გ) ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც განხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის მესამე პირ(ებ)ის კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილების შედეგად.

- 4.3 სააგენტოს აქვს უფლება გამოიყენოს ბენეფიციარის შესახებ ინფორმაცია სარეკლამო მასალებში, მარკეტინგული ან სხვა საინფორმაციო მიზნებისთვის, საკუთარი შეხედულებისამებრ, ბენეფიციარის თანხმობის გარეშე, ასევე გამოაქვეყნოს ინფორმაცია სააგენტოს კუთვნილ ვებ გვერდზე www.wine.gov.ge.

5. ფორს-მაჟორი

- 5.1 მხარეები დროებით თავისუფლდებიან ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებების შესრულებისაგან ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევაში.
- 5.2 ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის, ფორს-მაჟორული გარემოებები წარმოადგენს ნებისმიერი გაუთვალისწინებელი გარემოება ან მოვლენა, რომელიც სცდება მხარეთა გონივრულ კონტროლს და რომლის დადგომაც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებას. ამგვარი გარემოებები და მოვლენები მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება, სტიქიური უბედურებებით, საყოველთაო გაფიცვებით, საბოტაჟით ან სხვა სახის სამოქალაქო მღელვარებით ან არეულობით, ომით (მიუხედავად იმისა გამოცხადებულია იგი თუ არა), ან სხვა სამხედრო, ტერორისტული ან პარტიზანული ქმედებებით, ბლოკადით, აჯანყებებით, მიწისძვრით, წყალდიდობით, მეწყრით, ზვავით ან სხვა მოვლენით, რომელიც არ ექვემდებარება მხარის გონივრულ კონტროლს და რომლის თავიდან აცილებაც მხარეს, ყველა გონივრული და შესაძლო ზომების მიღების მიუხედავად, არ შეუძლია. ამასთან ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას.
- 5.3 მხარე, რომელიც ვერ ასრულებს ხელშეკრულებით დადგენილ უფლება-მოვალეობებს ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის და შეწყვეტის თაობაზე შემდგომი დაგვარად მოკლე ვადებში, მაგრამ არაუგვიანეს ასეთი გარემოებების წარმოშობიდან 10 (ათი) დღისა. თუ მხარე არღვევს ამ ვადას, იგი ვალდებულია წარმოადგინოს დასაბუთებული ინფორმაცია ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას მიუთითოს აღნიშნულ გარემოებებზე. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს გარემოებების და/ან მოვლენების აღწერა და მათი ზეგავლენა ამ მხარის მიერ ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებების შესრულებაზე, ისევე როგორც ასეთი ვალდებულებების შესრულების გადავადების სავარაუდო თარიღი.
- 5.4 ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობისას და მათი დადასტურების შემთხვევაში, მხარეების მიერ ვალდებულებების შესრულების ვადები პროპორციულად გადაიწვეს ფორს-მაჟორული გარემოებების და/ან მოვლენების ხანგრძლივობის ვადით, ან სხვა ვადით რაზეც მხარეები დამატებით შეთანხმდებიან.

6. სხვა პირობები

- 7.1 ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას.
- 7.2 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება შეიძლება განხორციელდეს მხარეთა შეთანხმებით, მხოლოდ წერილობითი ფორმით.

- 7.3 მხარეთა შორის ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა საკითხი, დავა და ურთიერთობა რეგულირდება, განიმარტება და გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 7.4 ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ საქართველოს სასამართლოს.
- 7.5 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.
- 7.6 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად და გადაეცემათ მხარეებს.

7. მხარეთა საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები:

| ბენეფიციარი: | სააგენტო: |
|--|---|
| <p>-----</p> <p>-----</p> <p>მისამართი:-----</p> <p>ბანკი: -----</p> <p>ბანკის კოდი: -----</p> <p>ა/ა: -----</p> <p>_____</p> <p>-----</p> | <p>სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო</p> <p>ს/კ 404923785</p> <p>მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის 6</p> <p>ელ. ფოსტა: info.georgianwine@georgianwine.gov.ge</p> <p>საქართველოს ხაზინის ერთიანი ანგარიში</p> <p>კოდი: TRESGE22</p> <p>_____</p> <p>-----</p> <p>თავმჯდომარე</p> |

დანართი N4

ანაზღაურების პირობები

1. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებს აუნაზღაურდებათ მარკეტინგული ხარჯები (გარდა საქართველოში და დსთ-ს ქვეყნებში გაწეული მარკეტინგული ხარჯებისა), შემდეგი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში:

ა) ბენეფიციარი მოახდენს მეტი (ლიტრი) ღვინის ექსპორტს მიმდინარე კალენდარულ წელს, ვიდრე ექსპორტირებული აქვს წინა კალენდარულ წელს;

ბ) ბენეფიციარი მიმდინარე საანგარიშო პერიოდში უზრუნველყოფს მეტი მარკეტინგული ხარჯის გაწევას, ვიდრე გაწია წინა საანგარიშო პერიოდში.

2. ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა გამოიანგარიშება შემდეგი წესით:

ა) მიმდინარე კალენდარულ წელს ექსპორტირებული (ლიტრი) ღვინის მოცულობას გამოაკლდება წინა კალენდარულ წელს ექსპორტირებული (ლიტრი) ღვინის მოცულობა;

ბ) მიმდინარე საანგარიშო პერიოდში გაწეულ მარკეტინგული ხარჯების ოდენობას გამოაკლდება წინა საანგარიშო პერიოდში გაწეული მარკეტინგული ხარჯების ოდენობა;

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად გამოთვლილი მარკეტინგული ხარჯის ოდენობა გაიყოფა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად გამოთვლილი (ლიტრი) ღვინის მოცულობაზე და მიღებული თანხა წარმოადგენს ექსპორტირებულ ერთ ლიტრ ღვინოზე გადაანგარიშებით ასანაზღაურებელ მარკეტინგულ ხარჯს, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 2 ლარს.

დ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად გამოთვლილი ღვინის მოცულობა (ლიტრი) გამრავლდება ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით მიღებულ ასანაზღაურებელ მარკეტინგულ ხარჯზე და მიიღება ასანაზღაურებელი თანხა.

3. თითოეულ ბენეფიციარზე კალენდარული წლის მანძილზე გასაცემი ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება არაუმეტეს 600 000 (ექვსასი ათასი) ლარით.

4. პროგრამის ფარგლებში არ დაიანგარიშება საქართველოში რეალიზებული და დსთ-ს ქვეყნებში ექსპორტირებული (ლიტრი) ღვინის მოცულობა და გაწეული მარკეტინგული ხარჯები.

5. იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარს წინა კალენდარული წლის და საანგარიშო პერიოდში არ აქვს გაწეული მარკეტინგული ხარჯი ან/და არ განუხორციელებია ღვინის ექსპორტი პროგრამის პირობების შესაბამისად, დაანგარიშებისას გათვალისწინებული იქნება არაუგვიანეს გასული 3 წლის განმავლობაში უკანასკნელად გაწეული მარკეტინგული ხარჯი და ექსპორტირებული ღვინის მოცულობა.

6. პოტენციურ ბენეფიციართან გაფორმდება დაფინანსების ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, თუ მას უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში რომელიმე წელს გაწეული აქვს მარკეტინგული ხარჯი და განუხორციელებია ღვინის ექსპორტი პროგრამის პირობების შესაბამისად.